ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5419032

ნომერი: AR1823993

თარიღი : 28.04.2021

გაცემის თარიღი : 25.05.2021

გაცნობის თარიღი : 25.05.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პავლე მაღრაძე პ/ნ 01008018126
- თბილისი წყნეთის გზატ. N 2 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 28 აპრილს AR1823993 განცხადებით მომართა მოქალაქე პავლე მაღრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში, საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულ N 72.16.18.803; 72.16.18.928; (1000 კვ.მ; 404 კვ.მკვ.მ) მიწის ნაკვეთზე საავადმყოფოს მშენებლობის განხორციელების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში; შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია , საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და განახლებული საკადასტრო გეგმის და მისი მონაცემების დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 72.16.18.433 ფართობი 1655 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №: 882021237117 ; რეგისტრაციის თარიღი : 25/04/2021 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882021237117 რეგისტრაციის თარიღი 25/04/2021 წ.);
2. გავრცელდეს ფუნქციური ზონა (ზონები) : სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) (იხ. დანართი)
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის №3698942 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.